

**2018 წლის 26 სექტემბრის**  
**სსიპ საქართველოს ადვოკატთა**  
**ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს**  
**სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

სხდომის დაწყების დრო: 12:00

სხდომზე დისტანციურ რეჟიმში ჩაერთნენ აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციციო ცხვედიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, მამუკა ნოზაძე, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე.**

**სხდომის დღის წესრიგი**

**საკითხი 1.** 2018 წლის საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა;

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ მარინე მაზანაშვილის, თენგიზ მჭედლიშვილის და დავით საყვარელიძის განცხადებებს 2018 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი მარინე მაზანაშვილის, თენგიზ მჭედლიშვილის და დავით საყვარელიძის განცხადებები, განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

**საკითხი 2.** საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განცხადების განხილვა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციისთვის „არბიტრაჟის დღეები“, თემა: „ახალი ერა დავების გადაწყვეტის სფეროში“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განცხადებას ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციისთვის „არბიტრაჟის დღეები“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** დაკმაყოფილდეს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განცხადება ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციისთვის „არბიტრაჟის დღეები“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

**დავით ასათიანი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა**

**ასოციაციის თავმჯდომარე**